

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>ლიტერატურათმცოდნეობა</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>ფილოლოგიის დოქტორი</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>180 კრედიტი: სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი (აქედან 40 კრედიტი - სავალდებულო საგნები, 20 - არჩევითი); სამეცნიერო კომპონენტი - 120 კრედიტი (აქედან 40 კრედიტი - დოქტორანტის კოლოკვიუმი (2); 80 კრედიტი - სადისერტაციო ნაშრომის შესრულება.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>საქართველოს ბოლონის პროცესში ჩართვამ ახალი მოთხოვნების წინაშე დააყენა უმაღლესი განათლება. აქტუალური გახდა ახალი ტიპის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სწრაფად ცვალებად გარემოში ახალი მოთხოვნებისა და პრობლემების დამოუკიდებლად და, რაც მთავარია, შემოქმედებითად გადაწყვეტას.</p> <p>დოქტორანტურაში სწავლების მიზანია ფილოლოგიის აკადემიური დოქტორის მომზადება. დოქტორანტმა უნდა შეიძინოს ფილოლოგიურ მეცნიერებათა უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, გამოუმუშავდეს სამეცნიერო სფეროს სისტემური გაგება, პრობლემების საკუთარი და ორიგინალური ხედვა. უნდა ფლობდეს ამ სფეროში წარმატებული კვლევითი მუშაობისთვის აუცილებელ ჩვევებსა და მეთოდებს, უნდა გააჩნდეს კვლევის სრულფასოვანი პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რაც უნდა დაადასტუროს ორიგინალური კვლევის განხორციელებით; უნდა შეძლოს კვლევის ხარისხის დახვეწა, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ახალი ცოდნის გენერირების პროცესში მონაწილეობა. მან უნდა შეძლოს ასევე უმაღლეს სასწავლებელში სალექციო კურსების მომზადება და სწავლება.</p> <p>სადოქტორო პროგრამის მთავარი მიზანია აკადემიური ლიდერის მომზადება, რომელიც უპასუხებს თანამედროვე ეპოქის გამოწვევებს, რომელიც შეძლებს დაგროვილი იდეების კრიტიკულ ანალიზს, ამ ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციებისა და სწავლების გზით. დოქტორანტურის მთავარი ამოცანაა ორიგინალური, სიახლის შემცველი, აქტუალური სამეცნიერო კვლევის დასრულება.</p> <p>პროგრამა ყველა დაინტერესებულ პირს სთავაზობს მაღალი ხარისხის განათლებას ლიტერატურათმცოდნეობაში და ზრდის თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციურ, კონკურენტუნარიან, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებად დარგის სპეციალისტ - ფილოლოგს; მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელ თავისუფალ პიროვნებას, რაც სესაბამისობასია უნივერსიტეტის მისიასთან.</p> <p>სადოქტორო პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც მიღებული აქვთ სამაგისტრო განათლება ფილოლოგიაში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა ლიტერატურათმცოდნეობაში.</p> <p>პროგრამა ამზადებს ფილოლოგიის აკადემიურ დოქტორებს შემდეგ მიმართულებებში:</p>

	<p>I. ქართული ლიტერატურა; II. ევროპული ლიტერატურა; III. ფოლკლორისტიკა.</p> <p>ქართული და ევროპული ლიტერატურის მიმართულებები სუბდისციპლინარულია და მოიცავს რამდენიმე დისციპლინის პრობლემურ სფეროებს: ქართული ლიტერატურა მოიცავს თავის სუბდისციპლინარულ სფეროებს (ძველი, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურა); ხოლო ევროპული ლიტერატურის მიმართულება – ინგლისური, გერმანული, ფრანგული, სლავური, ანტიკური და ბიზანტიური სუბდისციპლინარულ სფეროებს და საზღვარგარეთულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების პრობლემურ საკითხებს. ფოლკლორისტიკის მიმართულება ორიენტირებულია თანამედროვე დასავლეთევროპული და ამერიკული ფოლკლორისტული სკოლების უახლესი მიღწევების გამოყენებაზე ქართულ მეცნიერებაში.</p> <p>პროგრამა სტუდენტს სთავაზობს მხატვრული ტექსტის ანალიზს ნაციონალური ჩარჩოებისა და ენობრივი ბარიერების გარეშე. პროგრამის მიზანია, ცალკეული ხალხების მიერ შექმნილი ტექსტების შედარებითი ანალიზი და ლიტერატურულ - თეორიული კონცეფციების ინტეგრირება სხვა დისციპლინებთან, როგორცაა, მაგალითად, ესთეტიკა, ფილოსოფია ან კულტუროლოგია. შესაბამისად, პროგრამა სთავაზობს სტუდენტს ინოვაციურ თეორიულ რეფლექსიას ენობრივი და დისციპლინური ბარიერების გადალახვისა და კონკრეტული თეორიული მეთოდოლოგიების გამოყენების მეშვეობით. პროგრამა ეფუძნება, ერთი მხრივ, ლიტერატურული ტექსტების საფუძვლიანად ცოდნას, მეორე მხრივ კი – თანამედროვე ლიტერატურულ - თეორიული მეთოდოლოგიებით ოპერირებას (როგორცაა, მაგალითად, ნარატოლოგია, დიალოგური კრიტიკა, რეცეფციული ესთეტიკა, ჰერმენევტიკა, გავლენის თეორია და სხვა). პროგრამაზე მიღებულ სტუდენტს საშუალება ეძლევა, ჩამოაყალიბოს საკუთარი ინტერესი რამდენიმე მიმართულებით:</p> <p>ა) აირჩიოს განსხვავებული ნაციონალური ლიტერატურების წიაღში ფორმირებული ტექსტები, რომელთა ანალიზის განხორციელებასაც აპირებს;</p> <p>ბ) მონიშნოს ისტორიული ეპოქები, რომელთაც განეკუთვნებიან მისთვის საინტერესო ტექსტები;</p> <p>გ) შეარჩიოს კონცეპტი (პოეტიკური, კრიტიკული, ისტორიული), რომლის ირგვლივაც აპირებს კვლევის წარმართვას;</p> <p>დ) აირჩიოს მეთოდოლოგია, რომლის მეშვეობითაც სურს ანალიზის წარმოება;</p> <p>ე) შეარჩიოს ანალიზის გაფართოების პერსპექტივა ინტერდისციპლინურ ჭრილში (ლიტერატურათმცოდნეობა და ფილოსოფია; ლიტერატურათმცოდნეობა და ანთროპოლოგია; ლიტერატურათმცოდნეობა და რელიგია; ლიტერატურათმცოდნეობა და კულტუროლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა და ფოლკლორისტიკა, ფოლკლორისტიკა და ეთნოლოგია და სხვა).</p> <p>ამგვარი კვლევები ასახავს არა მარტო შედარებითი ანალიზის სპეციფიკას, არამედ გამოხატავს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო პოლიტიკას ინტერდისციპლინური კვლევების განვითარებისა და გაღრმავების მიმართულებით.</p>
<p>სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)</p>	<p>სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების საფუძველზე მოხდება დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდა და მისი კომპეტენციის სფეროში შემავალი აკადემიური და კვლევითი პროგრამების დაახლოება; მისი, როგორც დარგის სპეციალისტის, ხარისხის ამაღლება და ინტეგრირება სამეცნიერო საზოგადოებაში. დოქტორანტი შექმნის მაღალი მეცნიერული ღირებულების თეორიულ ნაშრომს, რომლითაც თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერების საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ახლებურ ნიუანსს შეიტანს ლიტერატურისა და ფოლკლორის კვლევისა და განვითარების საქმეში. შეძლებს სხვადასხვა დროისა და ტრადიციის მხატვრული ტექსტის</p>

	<p>აღქმას, კრიტიკულ ანალიზს, საკუთარი თვალსაზრისის გამომუშავებასა და არგუმენტირებულ დაცვას, საწინააღმდეგო ბრძოლებების ოპონირებას. წარმატებული დოქტორანტის სახით ქართული ფილოლოგიური მეცნიერება მიიღებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს, რომელიც პერსპექტიული კადრი იქნება ქართული და ევროპული ლიტერატურათმცოდნეობისა და ფოლკლორისტიკის მიმართულებით.</p> <p>სწავლის მოსალოდნელი შედეგები და კომპეტენციები აღწერილია მისაღწევი დარგობრივი და ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციებით, რომლებიც წარმოადგენს ცოდნის, უნარ - ჩვევების, ღირებულებებისა და ვალდებულებების ერთობლიობას.</p> <p>სწავლის შედეგები მიიღწევა პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი კურსების შესწავლით, სემინარებში, კოლოკვიუმებში, ვორკშოპებში, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის, მაღალრეიტინგულ, რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში პუბლიკაციების, სხვა სასწავლო და სამეცნიერო აქტივობების გზით. ასევე სწავლა-სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების შესწავლითა და გამოყენების გზით. პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სხვადასვა თანამედროვე სტრატეგიები და მეთოდები, მათ შორის ვერბალური, წიგნზე და მასალებზე მუშაობის, ანალიზისა და სიმთევის, ინდუქცია-დედუქციის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, დისკუსია-დებატებისა და ა.შ.</p>
<p style="text-align: center;">შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებაში.</p>
<p style="text-align: center;">საკონტაქტო პირი</p>	<p>პროფ. რამაზ ხალვაში ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი ტელ. 893-357-957, 4-11-57; ელ. ფოსტა: ramaz_khalvashi@yahoo.com პროფ. მარინა გიორგაძე ევროპეისტიკის დეპარტამენტი ტელ. 577 19 97 99; ელ. ფოსტა: marina_giorgaze@yahoo.com</p>